

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებულია... ებით ასოზე 1 კაპი... ცეროთი—5 კაპი, მატარათ—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეიძლოს დაეკრძალოს გამოცხადებული სტატეები და შეცვლილი სტატეები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სალოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дროзба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 იელისიდან წლის დამლევამდინ, გაზეთით—ხუთი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 1 (13) აგვისტოს. გაზეთს, Daily News-ს გაუგია, რომ ვითომ გადაწყვეტილია, ძულჯა დაუთმონ ჩინეთსა ხუთ მილიონ მანეთად; ამ ფულებიდან ოთხი მილიონი ვაჭრებს მიეცემა ჯილდოთ, და დანარჩენი 1 მილიონი სამხედრო ხარჯის დასაფარავად დარჩება.

ვენა, 1 (13) აგვისტოს. იმპერატორმა შრანც-იოსებმა თავი გაანება ტისლიტანის სამინისტროს და მიანდო გრაფს ტაახეს ახალი კაბინეტის შედგენა.

სამართველო

დღიური

* * * „ივერიის“ მეხუთე და მეექვსე № №-ში, სხვათა შორის, მოყვანილია ცნობა, რომლიდანაც ვტყობულობთ, რომ ობილისის გუბერნიაში ამ ქაშად არსებობს ოცდა ცხრა სასოფლო შკოლა, რომელშიაც სწავლობს ცხრაას ოცდა ექვსი ვაჟი და ოცდა ათი ქალი; მუთისის გუბერნიაში კი ოთხმოცდა ოთხი სახალხო შკოლაა ჰყოფილი, სადაც ორი ათას ხუთას სამოცდა თორმეტი ვაჟი და ოცდა ხუთმეტი ქალი სწავლობს.

მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც დღე-

ვანდელ ჯორჯესპონდენციიდან გაიგებს მკითხველი, ამ შკოლების უმეტეს ნაწილს არ ჰყავს რიგიანი ხასწავლებლები. და ამისთვის ძრიელ საჭირო იქნება, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცივდეს ჩვენი ახლად დაარსებული „წერაკ-თხვის გამავრცელებელი საზოგადოება.“

* * * თითქმის ყველა მხიდგან მოსვლის თაობაზედ ცუდი ამბები ისმის თუ გვალვისა, თუ კალიისა, თუ ნიაღვრისა და სხვა და სხვა მიზეზების გამო.

სხვათა შორის, ნუხილამ გვატყობინებენ, რომ იქითკენ თითქმის ოც-და-ათამდინ სოფლის ნათესები გაუოხრებია მინდვრის თავებზე, ასე რომ ამ სოფლების მცხოვრებლები მომავალ წლისთვისაც აღარ ეპირებიან ხენა-თესვას, იმიტომ, რომ ეშინიათ, ვაი თუ მომავალ წელშიაც თავგების ლუკმათ შეიქნეს ჩვენი ნათესი და შრომამ უქმად ჩაგვიაროსო.

იქ მეტად სიძვირე ჰყოფილა ამ ქაშათ პორისა: წინეთ რომ სამი ფუთი პური ორ მანეთად ფასობდა, ამჟამათ იქ ექვს მანეთად განდარა და ამასაც ძლიერ შოულობენო.

* * * ჰიზლიარიდამ იწერებიან „მშაკ-ში“, რომ იელისის 23-ს იქ ისეთი საშინელი ქარი, სეტყვა და შხაპუნა წვიმა ჰყოფილა, რომ ბაღები და ყანები სულ გაუფუჭებია.

* * * ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

„ამას წინათ ქონდოლის მღვდელმა დიდ—მა და თუშეთის მღვდელმა ბუ—ამ ერთმანეთის თანახმობით სთხოვეს სასულიერო მთავრობას, რომ იმათთვის ნება მიეცათ ადგილების შეცვლისა, ე. ი. ქონდოლის გადაყვანათ თუშეთში და თუშეთის—ქონდოლში. მთავრობილამ მოუყიდათ ნება—და ამითი გათავდა საქმე! აქ ვის რა საქმე აქვს გაერიოს? მაგრამ, ნუ იტყვიან! წამოსულა ჩვენი ბლალაჩინი ინ—ვი და „დაუჭედებია“ არქიელისათვის ქალაქი, რომელშიაც სწერს, რომ მ. ბუ—ა მრევლში დასაყენებელი არ არისო, ავი კაციო, არაფერი იცისო და ამასთან შეისყიდა ქონდოლის პრინცი მ. დიდ—საგანაო! და სხვ.

მკითხავთ ბლალაჩინს ი—ვის ოთხიოდე წელიწადი ხომ იქნება რაც მ. ბ—ა თუშეთში (ი—ვის საბლალაჩინოში) მასაზრებს? თუ ამ დროს განმავლობაში ის არ იყო რითმე დასაწუნარი, რა-

ლა ეხლა გაცუდკაცდა? და თუ იქაც არ ვარგოდა, რატომ ხმას არ იღებდა მ. ი—ვი? ბ—უა ი—ვის საბლალაჩინოში კარგიც იყო, ყველაფერი იცოდა პრინცილშიაც და საყენებელი იყო და ეხლაკი აღარ არის ისეთი, როცა სხვაგან გადავიდა? ამისი პასუხი უნდა მოგვეცეს ი—ვემა და თუ არ მოგვეცემს პასუხს, მაშინ ნებას ვაძლევ იძიოს ლექსიკონებში თავისი შესაფერი ზედმესრული სახელი!

ბრავინ იცის ნამდვილად ბ—ამ შეისყიდა პრინცი დ—საგან, თუ ურთი ერთობის კეთილნებობით დაუთმეს პრინცილები. მაგრამ ესტყვათ, რომ ესეც ნამდვილია!

ჩვენ თითონ ვიცით ერთი მაგალითი, (თუ საჭირო იქნება, კიდევ მიგიითებთ) რომ თითონ ი—მა მოახდინა ვაჭრობა პრინცილებისა, რისთვისაც აიღო შევიდოდე თუშანი!

რისგან არის, რომ თუ სხვა მღვდელი შეისყიდის პრინცილს, ის არაფერი, და თუ მ. ბ—ამ შეისყიდა,—ის მომავალ წინააღმდეგია, ბლალაჩინისაგან ამგვარი საქმის გარიგება რაღა იქნება?

ამეგების პასუხს მოველით ი—საგან.“
ა. შ. ს.

* * * ჩვენ გვწერენ ოსურგედიდამ, რომ ეხლა ისეთი მაზრის უფროსი მოგვეცა, რომ ქურდობას და სხვა ავაზაკობას ისე ბოლო მოუღო, რომ თითქმის არავითარი შიში არაგვაქვს რაიმეს დაკარგვისა.

იმან ვაცა ბრძანება თავის მაზრაში, რომ „ხევისთავეები“ დაეყენებინათ, და რაც დიკარგებოდა ყოველივე უნდა გარდაეხანათ, როგორც „ხევისთავეები“, ისრე დამკარგველების საზოგადოებას. ამას გარდა ბრძანა მაზრის უფროსმა, რომ ყოველი შენიშნული პირი ქურდობაში მომეცითო! ისიც ასრულა ბახვის საზოგადოებამ. რაკი გამოიყვანეს ქურდობაში შენიშნულნი, ათი კაცი და შეუყენეს საქმე დასაჯელად,—გამოჩნდა დანაკარგი სამი ცხენი. ამგვარი განკარგულებით უ. მაზრის უფროსი განხალხი ისე შეშინდა, რომ შეძლევ თითქმის ორი თვე მიდის, რაც თითქმის არაფერი არ დაკარგულა.

სხვა საზოგადოებისაგანაც გვესმის, რომ ქურდობა სრულებით მოისპოვო.“

* * * აი რამოდენიმე ახალი ამბები ჩვენი

მწიგნობრობის შესახებ:

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამას წინათ უ. ნ. ზამრეკლოვმა გამოთარგმნა რუსულიდან და გამოცა „წესდება“ სამსახურლო კანონებისა.

ჩვენ გვაცნობებენ სიღნაღილამ, რომ ეძღა უ. ზამრეკლოვი ამხადებს და მალე დაბეჭდვინებს იმ სამსახურლო კანონების დანარჩენ ნაწილებსაო. მა ახალი ნათარგმნი ძლიერ განიჩევა წინანდელიდგანოა: აქ ენა უფრო დახლოებულია ახალ ლიტერატურულ ენასთან და ძრიელ ადგილი გასაგონიაო (აღრინდელი კი, როგორც ვიცით, მეტისმეტ ღრმა და ბევრისთვის გაუგებარი ენით იყო დაწერილი).

მსევე ზამრეკლოვი ამხადებს პატარა სახალხო საკითხავს წიგნებს სახალხო შკოლებში სახმარებლათაო.

* * * იქილამე გვაცნობებენ, რომ იქაურმა მღვდელმა, ბეგეევმა, იქაურ სასწავლებელში ღეთის კანონის მასწავლებელმან, მოამზადა და ამ თვეშივე დაბეჭდვინებს სახალხო შკოლებში სახმარებლად ლოცვანს და საღმრთო ისტორიას, რომელნიც სოფლის შკოლების პროგრამაზედ არიან შედგენილნი. ამ წიგნში იქნება: ლოცვების ახსნა და განმარტება, თარმეტი უქმენი ქრისტიანეთ ეკლესიისა და მასთან ადგილობრივი უქმეები: წმ. ბიორგობა, წმ. ნინაობა და სხვ. იქნებიან ახსნით და მოკლე ისტორიითა.

მართი სიტყვით, — ამბობს ჩვენი კორესპონდენტი: „ეს შრომა პატივცემული მღვდლისა თავის ვადაზედ გამოსული და ძრიელ საჭირო, სასარგებლო იქნება, რადგან ჩვენს სოფლის შკოლებში ამგვარი წიგნები ჯერ არ არის. მ. ბეგეევის წიგნებს მრავალი პედაგოგიური ღირსებანი ნებას აძლევენ ჩვენ შკოლებში ადვილათ გავრცელებდნენ.“

ღირეკტილამ ამას აქვს ჩაბარებული მთელი სიღნაღის უფლის შკოლებზედ შედამხედველობა, თუ როგორ მიდის მათში სამღრთო წერილის სწავლება!

„მისურვებთ წარჩინებას! იმედია ჩვენი საზოგადოება ყველა ამ გვარ შრომას სიხარულით მიეგებება, რადგანაც ამ გვარი შრომების წყალობით სამუდამოთ გამოვდივართ საყვედურდგან, რომ ჩვენ ვითომც წიგნები არ გვქონდეს!“

მთ ყველა ეს ასრულდა, მაშინ ჩვენ ამ მოკლე ხანში რამოდენიმე ახალ წიგნებს უნდა მოველოდეთ: სამ წიგნს, როგორც ჩვენი გახეთის წარსულ ნომრებილამ ვიცით, უ. მ. აბაშიძე გვირდება!

* * * ამ ჟამად მთილისში იმყოფება პეტერბურლის აკადემიის სტუდენტი, უფ. მ. საბინინი. ჩვენ ვნახეთ პირველი წიგნი, შედგენილი და გამოცემული მისგან პეტერბურლის აკადემიის სტამბაში, სახელად „მართველთა მამათა ცხოვრება“, რომლის ფორმატი შეიცავს „მართლის ცხოვრების“ სივრცეს და 340 გვერდს.

წიგნი გამოცემულია მშვენიერათ, სუფთათ და კარგს თეთრს ქაღალდზეა

დაბეჭდილი. მითო ტომში იქნება მოკეული ოც-და-ოთხი სურათი, რომლებიც მას ლეიბცილში ლიტოგრაფიით გარდაუღებინებია. მთქვა პირველს ნაწილში ოც-და-ოთხი სურათია, მაგრამ მამათა აწერა კი მეტია. სურათები შეუტანია მას იმ წმინდანებისა, რომლებმის მოპოვება შესაძლებელი ჰყოფილა.

მა პირველი შრომაა უფ. საბინინისა ქართულს ენაზე. მამათა ცხოვრება ქართულს სასულიერო თხზულებათა შორის ბრწყინვალე ალაგს დაიჭერს, რადგანაც საესეა მრავალის ისტორიულის მასალებითა და ესეც რომ არ იყოს, განცალკევებულია საზოგადო ისტორიისაგან. როგორც სჩანს ამ წიგნილამ, უფ. საბინინს საქართველოს სამოქალაქო ისტორიილგან გამოუყრეფია ცნობები, რადგანაც ჩვენი საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია ერთმანერთ შუა არეულია.

იმედი გვაქვს, რომ უფ. საბინინი ამ ორი წიგნით არ გაათავებს ქართულს ენაზე საქართველოს საეკლესიო და სასულიერო ისტორიების წერასა!..

„დროების“ კორესპონდენცია

იმაჩითილამ, 20 ივლისა. ჩვენს საქართველოში არსდებიან და დაარსდენ სასოფლო შკოლები. მღვებობა, რომელიც სრულიად მოკლებული იყო განათლებასა აქამდინ, ეხლა მაინც მისცემს თავის შვილებს ცოტოდენ სწავლას, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ეს შკოლები თავიდან ვერ ასრულებდენ თავიანთ დანიშნულებას: სწავლა იმათში მიდიოდა ძრიელ სუსტად და უსაფუძლოთ.

ამის დასამტკიცებლად, სხვათა შორის, საქამაა მოვიხსენიოთ მარტო ის, რომ ამ შკოლებილგან თითქმის სრულიად განდევნილი იყო ჩვენი სამშობლო ენა, ურომლოთაც პირველ-დაწყებითი განათლება ხალხისა უსაფუძვლოა, შეუძლებელია! სამშობლო ენის მაგიერად ქართველს ამ შკოლებში ასწავლიდენ ყოველივე საგანს უცხო (რუსული) ენაზედ!

ამ მოკლე ხანში დაწინაურდენ, ცოტათი მაინც, მთილისის გუბერნიის სასოფლო შკოლები! იქაური სასოფლო შკოლების მმართველები: უ.უ. სტრელეკი და ხითაროვი; რიგიან კაცებათ გამოჩნდენ; თანაგრძნობა ხალხისა შკოლისაღმი თან-და-თან ძლიერდება; სოფლის შკოლის ოსტატები, თითქმის ყველანი, ცოტათ, თუ ბევრად, არიან ნიჭიერნი და სავსენი კეთილის განზრახვითა და მიღრეკლებითა; იმათ რიგიანად მიჰყავთ შკოლების საქმე. სხვათა შორის მათი შემწეობით შკოლებთან ზოგან გაიხსნა ბანკი, ზოგან დეპო და სხ..

ამას გარდა იქაურ შკოლებში ამ მოკლე ხანში მოხდა კეთილი და სასურველი ცვლილება: შარშანდელმა

კრებამ მთ. გუბერნიის სასოფლო შკოლების მასწავლებელთა ვალწიქიტა, რომ ქართული ენა უნდა იყოს ყველთხედათ ჩვენი ხალხის განათლებისა, ამ ენაზედ უნდა ისწავლოს ქართველ ყმაწვილმა ყოველივე საგანი მთელი ოთხი წლის განმავლობაში და რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს მხოლოდ მესამე წლიდან.

მა მასწავლებელთა გარდაწვევითება მთაერობამ დაამტკიცა.

იმედი გვაქვს, რომ ამას იქათ იქაური სასოფლო შკოლებში სწავლა კარგათ წავა!—

ახლა ვსთქვათ ორიოდ სიტყვა მთათისის გუბერნიის შკოლების წასრულ და აწმყო მდგომარობაზედ.

მთელი გღვებობა მთათისის გუბერნიისა პირველად კარგათ თანაუგრძნობდა შკოლის საქმეს. ამისგამო ბევრ სოფლებში მსწრაფლ აშენდა შკოლები, რომელშიაც დიდის სიხარულით შედიოდნენ გღვებების ბავშვები. მხლა კი საჭირო იყო კარგი ოსტატები. ღირეკტორმა, უ. ტროემ, ოსტატებათ ამ შკოლებში, უმეტეს ნაწილად, გამოგზავნა ისეთი პირები, რომელთაც გაუთავებიათ რომელიმე ოთხ კლასიანი სასულიერო სასწავლებელი და პედაგოგისა არა გაეგებათ რა!—

მით უ. ტროე იყო ძველი კაცი, მას მეტის-მეტად სძულდა ქართული ენა და მუდამ ერთი და იგივეს უმეორებდა სოფლის მასწავლებლებს: „ასწავლე თავიდან რუსული ენა, ქართული სრულიად საჭირო არ არის!“

ამნაირად ჩვენს ახალ დაარსებულ შკოლებში პირველი ალაგი ეჭირა რუსულ ენას, რომელზედაც ასწავლიდნენ ყოველივე საგანს და ქართული კი თითქმის სრულიად განდევნილი იყო შკოლიდან! უ. ტროე დიდ აღტაცებაში მოდიოდა, როდესაც რევიზიის დროს სოფლის შკოლის მაგიერდ შეპირად და თავისთვის გაუგებრად გაიგეორებდა დასწავლულ რუსულ სტატიას!

შარშან, როგორც ვსთქვით, დიდი სარგებლობა მოუტანა მასწავლებელთა კრებამ მთ. გუბერნიის სასოფლო შკოლებს. მთათისის სასოფლო შკოლები შარშანდელს აქეთაც იმავე მდგომარეობაში დარჩენ, როგორშიაც იყვნენ აქამდინ: არ მიუღიათ მათ არავითარი ცვლილება!

წრეულაც ჩვენს შკოლებს ისევე ისეთივე ოსტატები ჰყავს, როგორებიც იყვნენ აქამდინ.

საგნების სწავლება ამ შკოლებში მიდის ისევე რუსულ ენაზედ; ქართულ ენას კი ასწავლიან ფორმისგულისათვის.

რაც შეეხება ბანკს და დეპოს, მათი ხსენება არსად არის ჯერ-ჯერობით.

რა ნაირი შედეგი უნდა ჰქონდეს იმ შკოლას, რომელიც დგას ერთსა და იმავე ადგილზედ, და რომელსაც უფროსიც გულ-გრილათ შეჰყურებს და ოსტატიც სუსტი დაგამოუცდელი ჰყავს?

უ. ტროემ თავის თანამდებობა დას-

ტოვა მის მაგივრად დაგვინიშნეს უ. მარსოვი, რომელიც, როგორც ამბობენ, არის ბეჯითი და ენერგიული თავის საქმეზედ. იმას, როგორც ისმის, შეუსწავლია ქართული ენა, რაიცა დიდათ საჭარო და სასარგებლოა ქართული შკოლების მმართველისათვის.

ჩვენს დირექტორზედ უ. მარსოვზედ, არის დამოკიდებული ჩვენი შკოლების გაუმჯობესობა!

იმედი გვაქვს, რომ ის დიდ ყურადღებას მიაქცევს ამ ჩვენს შკოლებსა და თავისი შრომით დააყენებს იმათ კეთილ ნაბიჯზედ.

ამისათვის ყველაზედ უფრო საჭაროა, რომ იმან მისცეს შკოლებს რიგიანი ოსტატები; შემოიღოს შკოლებში ქართული და დანიშნოს ის სწავლის პირველ საგნად. საჭიროა აგრეთვე მოახდინოს სასოფლო მასწავლებელთა კრება!

ამას გარდა გარგი იქნებოდა, რომ თფილისში ახლად დაარსებულმა წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც ყურადღება მიაქციოს ამ შკოლებს და დაეხმაროს მათ შეძლებისადგევარად.

მხოლოდ ამ შემთხვევაში, ე. ი. რაიცა შკოლებს (ეყოლებს) ეყოლებათ კარგი მასწავლებლები, სწავლა იქნება ქართულ ენაზედ და სხვ. შეგვიძლიან აქაურებს ესთქვათ: „შკოლა გვაქვსო“.

დასასრულ დიდათ ბედნიერება იქნება მასწავლებელთათვის, რათა იმათ ეძლეოდეს ჯამაგირები იმგვარათ, როგორც თფ. გუბერნიის შკოლების მასწავლებლებს, — ხაზინიდან. ამის სისრულეში მოყვანა აღვილია! მხოლოდ კაცი უნდა ცოტა შეცადინებოდა.

ტ. მოგელაშვილი.

წერილი რედაქტორთან

სამკალესიო შკოლის აშენების გამო თფილისის კათოლიკეებისა

ამ რამდენისამე წლის წინათ თფილისის ეკკლესიის მრევლმა გადასწყვიტა ძველი შკოლის შენობა დაიქცეს და ახალი დაშენდეს. ამისათვის კამისია იყო შედგენილი, რომელმაც პლანი და სმეტა წარუდგინა მრევლის კრებასა და კრებამაც პლანი მიიღო და ხარჯიც დაწინა. მიანდო საეკკლესიო მზრუნველობას (პოპეჩიტელსტვოს) შენობა დაეწყო.

რამდენიმე მიზეზი გამოჩნდა, რომ შენობას ვერ შეუდგენენ. ძველი პაროქი (ნასტოიატელი) გადავიდა ქალაქიდან და ახალი დაინიშნა.

ახლა ძველ შენობას აქცევენ. როგორც შევიტყუეთ ძველი პლანიც შეუცვლიათ და ხარჯის სმეტაც მეტი დაუნიშნავეთ (ორი ათას ხუთასი თუმანი).

ეს პლანი და ახალი სმეტა მრევლის კრებას არც გაუშინჯავს და არც დაუბტკიცებია.

ახლოს პაროქს მრევლის კრება არ მოუხდენია და შენობას შესდგომიან მხოლოდ მზრუნველობის (პოპეჩიტელსტვოს) და რჩევის გადაწყვეტით.

შოველი ხარჯის სმეტა ყოველთვის მრევლის საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, როგორც უჩაღლესმა გამგებელმა თავისის ქონებისამ. ეს წესად არის დადებული აქამომდე.

არც რჩევას, არც მზრუნველობას, არც მზრუნველობის თავმჯდომარეს (პაროქს) უფლება არა აქვს მრევლის საზოგადო კრების დაუკითხავათ და დაუმტკიცებლად, დახარჯონ იმაზე მომატებული, რაც წინათ გადაწყვეტილი იყო და ამას გარდა სხვა პლანით, რომელიც წინათ არც გაშინჯული ყოფილა და არც მიღებული.

წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხის მგებელი არიან კანონისა და მრევლის წინაშე თავისის ქონებით და პიროვნებით.

მხლა დებულება არის და ეს დებულება უნდა დასრულდეს.

მრევლის საზოგადო კრების დაუკითხველად ფულის დახარჯვა და პლანების შეცვლა შფოთს ასტეხავს, დაიწყება ჩივილი საეკკლესიო და სამოქალაქო მთავრობასთან, სხვა-და-სხვა მიწერ-მოწერა და ვაი-ვაგლახი!

აი მრევლის უკუკდებას და არაფრად ჩაგდებას ესეები მოსდევს. ორი წელიწადია წლის ანგარიშების გასარჩევთაც კრება არ მომხდარა. ბანა შეიძლება ასე მოპყრობა საზოგადოებასთან?

საქმის გასასწორებლად ერთი ღონისძიებაა, რომ ენკენისთევა, როდესაც ქალაქიდან გასული ხალხი დაბრუნდება, საზოგადო კრება დაინიშნოს მრევლისა და მას წარუდგინონ პლანიცა და ხარჯის სმეტაცა. იმ დრომდის კი შენობის საძირკვლის ჩაყრაც არ შეიძლება, სანამ პლანი არ გაშინჯოს და არ მიიღოს კრებამა.

თფილისის კათოლიკეთაგანი

მ. მარიაშვილისთვე.

ნარკვი

სომხურ გაზეთს, „მშაკს“ სწერს ერთი სომხის მღვდელი, რომ ივლისის 15 თფილისში, ავლაბარში მოკვდა ერთი ქერივი დედაკაცი, სახელად შალია, 140 (ას-ორმოცი) წლისა. ის თავის სიცოცხლეში მხოლოდ ამ უკანასკნელ წლის განმავლობაში ავითმყოფობდა ხანდისხან. შალია გათხოვდა ხუთმეტი წლისა. იმას დარჩა ექვსი შვილი, — სამი ქალი და სამი ვაჟი: ერთი იმათგანი არის ასი წლისა, მეორე — სამოც-და-მეიდისა, მესამე — სამოცისა, მეოთხე — სამოც-და-ათისა, მეხუთე — სამოც-და-ოთხისა და მეექვსე — ორმოც-და-მეიდმეტისა. ეს სამი შვილი იმისა ეხლაც ერთად სცხოვრობენ; სამივე ჯანმრთელები არიან. სულ შალიას ორმოც-და-ათი შვილი,

შვილის შვილი, შვილის შვილი და მათი შვილები დარჩნენ.

* *

პრუსიაში 1870 წელს 76 საოსტატო სემინარია იყო, რომლებშიაც სწავლობდა 4,786 (ოთხი ათას შვიდას-ოთხმოც-და-ექვსი) მოსწავლე; ამ წელში იქ არის 110 (ას ათი) სემინარია, სადაც 1878 წელს სწავლობდა 8,125 (რვა ათას-ას-ოც-და-ხუთი) მოსწავლე. ასე, რომ ამ უკანასკნელ წლებში ამ სემინარიებმა 4,000 (ოთხი ათასი) მეტი მასწავლებლები დაამზადა!

ამ სემინარიების შესანახავად 1872 წელში პრუსიამ დახარჯა 1,122,670 (ერთი მილიონი, ას-ოც-და-ორი ათას ექვსას სამოც-და-ათი) მარკა (ფულია იქაური); 1879 წელში — 4,244,295 (ოთხი მილიონი ორას-ორმოც-და-ოთხი ათას, ორას ოთხმოც-და-ხუთმეტი) მარკა, ესე იგი სამი მილიონით მეტი.

ამ შკოლების კეთილ წარმართვისათვის ხალხთან მმართველობასაც დიდი შემწეობა აღმოუჩნია. 1872 წელში სახალხო შკოლების შესანახავად დახარჯულა თითქმის ოთხი მილიონი მარკა, ამ წელში კი თერთმეტი მილიონ ნახევარი.

იქაურ გიმნაზიებში და პროგიმნაზიებში სწავლობენ ამ წამად 76,000 (სამოც-და-თექვსმეტი ათასი) მოსწავლე; რეალურ სასწავლებლებში 37,000 (ოც-და-შვიდმეტი ათასი); ქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში — ხუთმეტი ათასი და უნივერსიტეტებში — თერთმეტი ათას ას-ორმოც-და-ერთი სტუდენტი სწავლობს.

* *

წარსულ თვეში პეტერბურღში მომრიგებელ სასამართლოში შემდეგი ახირებული საქმე განჩივის:

მრთი გლეხი ბ. ქუჩაში შეხვდა თავის ნაცნობს, ს — ეს და ლაპარაკის დროს ჰკითხა: არ ეგულება სადმე სამსახურში ცარიელი ალაგი, რომ ამას შეეძლოს შოვნა? ამასზედ ს — მა მიუგო, რომ უსამსახუროთაც შეიძლება ფულის შოვნაო, თუ კი ვინმე მოინდომებსო და ურჩია იმას დაეწყო ვაჭრობა ერთგვარი სიგარითა, რომელსაც სამხლერ გარეთიდან ეზიდება ერთი ქალი და იმ ქალს მე გაეცნობო. დაუნიშნა დრო და ალაგი, რომ მოსულიყო ბ — ი, რომელსაც ქალი აჩვენებდა სიგარის ნიმუშსა. ამ ლაპარაკის დროს დასარწმუნებლად თავის სიმართლისა ს — მა ვასტეხა შუაზედ ერთი სიგარა, და ამოიღო იქიდან ქალაქის ფული, ერთ მანეთიანი. „ეს სიგარები ჩვენ ინგლისიდან მოგვდისო, უთხრა ს — მა ბ — ი: „თუმცა ამისი ფერი ცოტა სხვანაირია, ჩვენებური მანეთიანის ფერი არ აქვს, მაგრამ ეს ჩაის წყალში უნდა ამოავლო, გააშრო და ნამდვილი ფერს მაშინ მიიღებსო. ს — მა დასრულა ეს ყველაფერი და მისცა სიგარადამ ამოღებული ფული ბიჭს პაპიროსის სასყი-



დელაზ; ბიჭმა ამ ფულით პაპირიზებიც მოიტანა და დანარჩენი ხურდა ფულიცა.

ბ—ვი დაფიქრა ამ გარემოებამ და ნაცვლად დანიშნულ ადგილას ქალის განაცნობლად წასვლისა, აცნობა, ვიცი რიგი იყო. დანიშნულ დროს, როცა ესენი ჩაისა სვამდნენ და ისევ იმ ფულელებზედ ლაპარაკობდნენ, მოვიდა ის ქალიცა, ზ—ი, რომელმანც მოიტანა სიგრები და აჩვენა ამათ 1, 3, და 5 ნომრის სიგრები, რომლებიდაც მანეთიანი, სამ მანეთიანი და ხუთ მანეთიანი ამოიღო. ამ დროს, როცა ქალი გამოვიდა ოთახიდან, გაჩნდა პოლიცია და სტაცა ხელი ამათ ს—მა და ზ—მა გასტყეს საჩქაროდ მთელი სიგარა და ნაწებები ჩაიდეს პირში, თითქო ვეწვეითო, მაგრამ ნახევარ სიგარიდამ გამოჩნდა ქალის ფული; ამათ სადგომში უნახეს სულ 23 მანეთი, რომელიც გაგზავნეს საცა ფულეებს აკეთებენ, რომ იქ დამტკიცონ, მართლა კასირის ხელის მოწერილი ალავი,—როგორც უთხრა ს—მა ბ—ს,—მეორე გვერდზედა სჩანს, თუ არა? ჯერ საქმე არ გადაწყვეტილა.

მ უ თ ა ი ს შ ი — ს ი მ ო ნ — ც რ ე ა მ ი ს მ ა ლ ა ზ ი ა შ ი (გ ი მ ნ ა ზ ი ის მ ა ხ ლ ო ბ ლ ა დ).

ა ხ ა ლ - ს ე ნ ა კ შ ი — ბ ლ ა ლ ო ჩ ი ნ ს ი ს ო რ დ ი ა ს თ ა ნ .

ზ უ გ დ ი დ შ ი — ბ ლ ა ლ ო ჩ ი ნ მ ი ნ . მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს თ ა ნ .

ლ ე ჩ ხ უ მ შ ი (ლ ა ი ლ ა ს შ ი) — ბ ლ ა ლ ო ჩ ი ნ ი ლ ა რ ი ო ნ ბ ე რ ს ა მ ი ა ს თ ა ნ .

ს ა ხ ხ ე რ ე შ ი — შ ა რ ა მ ა ნ ჩ ხ ე ი დ ე ს თ ა ნ — ს ა ს ო ფ ლ ო შ კ ო ლ ა შ ი .

ბ ო რ შ ი — პ ა ე ლ ე ბ უ რ ჯ ა ნ ა დ ე ს თ ა ნ (ს ა ს უ ლ ი ე რ ო ს ა ს წ ა ე ლ ე ბ ე ლ შ ი) .

შ ე ი რ ი ლ ა შ ი — ბ ლ ა ლ ო ჩ ი ნ ღ ა ე ი თ ღ ა მ ბ ა შ ი დ ე ს თ ა ნ .

ღ ა ბ ა რ ე ბ ა შ ე ი დ ლ ე ბ ა თ ე ი თ ო ნ გ ა მ ო მ - ც ე მ ლ ი ს ა გ ა ნ , მ ღ . ღ . ღ . მ ა მ ა შ ი დ ი ს ა გ ა ნ (დ . შ ე ი რ ი ლ ი დ ა მ) , ა მ ა დ რ ე ს ი თ : ВЪ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. შინც ათ ეგზემპლიარზე მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7-4)

რებისა და იატაკებისათვის ჩრულოვანი მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შექმნა ჰურსა შეუძლიან მიმართოს არსენალის კუჩაზე, შუდინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. პალკრიან ჩერუტი.

(3-2)

ჭუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 17 § ძალით ინიშნება საზოგადო-ვაჭრობით გასაყიდლად, ბანკის სადგომზე, შემდეგი მამული:

წამართლთა, ბიორგი და დიმიტრი მეთინეს ძეთა, ვასილ სიმონის ძის და შტაბს კაპიტანის იოსებ ოქროპირის ძისა, მდებარე ჭუთაისის უეზლის, წინაველში, სახელად „სარბევი.“

(1-1)

განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება სახალხო სამიოო წიგნი

კარაბაღინი

შედგენილი მღ. ღვით ღამბაშიდისაგან. გამოცემა პირველი. შასი გაგზავნით უყდოთ ერთი მანეთი, ყლით ექვს აბაზი. წიგნის ყიდვა შეიძლება: თ ფ ი ლ ი ს შ ი — ჩ არ კ ე ი ა ნ ის წ ი გ ნ ის მ ა ლ ა ზ ი ა შ ი .

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიოზა“

ვოდვეშლი

აბაკი წამართლისა

ისყიდება ჩარკვიანის, მართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მალაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენტოში, ბულვარზე.

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები შივი-სა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯ-

ღაიბეჭდა და ისყიდება

მეჩვე კარი

„შარამანიანისა“

ტუკიის ხილზედ, მართანოვის წიგნის მალაზიში მირზვის ღუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III, IV, V, VI და VII კარი შარამანიანის

შასი 40 კაპ.

რ.პ. გზა.	დ.ლა.	ს.ლა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი . . .	9 21	5 18	8 კაპ.	3 კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი 29 აგვისტ.		თფილისი, წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა . . .	10 11	6 27	85	44	პავასიის აქეთა მხრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 35	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ
ბორი . . .	1 58	9 43	3	1 53	ქალაქებში	50	შქვ. წითელი . . .	1 70	დღე დილის 8 საათიდან 10-დონ.
ხაშური . . .	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	შერი ფუთი . . .	1 40	მ რ შ ა ბ ა თ ს : ლ ს ი ც ე ვ ი და
სურამი . . .	1 44		4 90	2 61	პეტერბურგს, მარშავს	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	8 20	ბარალევინი—შინაგ. აგათმყოფობის.
შვირილი . . .	5 49		7 21	3 69	მსმალეაში, შვეიცარიაში	3	—ამერიკისა, ფუთი . . .	9 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს : მერმიშვი და
რონი . . .	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაჟანტილი ბამბა ფუთი.	10 60	ბამბა—გულისა და შინაგ. აგათ-
სამტრედია . . .	7 51		9 66	4 93	ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	6 30	მყოფ; რეინი—თვალის, შურავ-
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ზოგად		—თრაქამისა ფუთი . . .	3 80	დვევი—კანისა და ვენერიულის,
შოთი . . .	9 50		12 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ჭუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ჭუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.
შოთი . . .	9 3						შონი ფუთი	5 40	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს : ლ ს ი ც ე ვ ი — შ ი ნ ა გ , ბ ა ბ ა ე ვ ი — ნ ე რ ვ ე ბ ის .
ახალ სენაკი.	10 14		1 53	7 8			შონის სანთელი ფუთი.	6 80	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს : მერმიშვი — შ ი ნ ა გ . აგათმყოფ. და შურავლევი — კანის
სამტრედია . . .	11 5		2 61	1 33			სტეარინის სანთელი ფ.	11 80	და ვენერიულის.
რონი . . .	12 13		3 84	1 97			—ცხრისა, ლიტრა . . .		პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ე ბ ი ა ნ : ლ ს ი ც ე ვ ი , ბ ა ბ ა ე ვ ი და ბ ა ხ უ ტ ო ვ ი .
შვირილი . . .	1 18	ღამე.	5 3	2 56			სპირტი ვედრო	4 5	შ ა ბ ა თ ს : მერმიშვი, რეინი და
სურამი . . .	5 12		110 7	34 3 74			შაქარი ბროც. ფუთ . . .	7	შურავლევი.
ხაშური . . .	5 39		1 37	7 51 3 84			—ფენილი ფუთი . . .	5 60	მ რ ბ ე ს ტ ი — კ ბ ი ლ ის ე ქ ი მ ი და
ბორი . . .	7 5		4 8	9 24 4 73			შავა რვალი გრვ.	— 60	ბ ა ბ ა ე ვ ი მი ი ლ ე ბ ე ნ შ ი ნ , ღ ა რ ბ ე ბ ს
მცხეთა . . .	8 50		6 59	11 39 5 82			3 ხუთი ქუნჯულისა ფუთი.	13 50	მ ე ქ ა ლ .
თფილისი . . .	9 31		7 56	12 24 6 26			7 თამბაქო საშუალო ფთ.	6 70	